



WWW.MOH.GOV.GE

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო



ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა
„ელექტრონული ჯანდაცვა“

სამედიცინო საქმიანობის რეგულირება

სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა და ნებართვების მოდული

ნოემბერი

2012

სარჩევი

შესავალი.....	3
1. მომხმარებლის ავტორიზაცია.....	3
2. ნავიგაციის აღწერა.....	4
3. მონაცემთა ბაზა, ფილტრები.....	5
4. ახალი სამედიცინო დაწესებულებების დამატება/რეგისტრაცია	7

შესავალი

სამედიცინო რეგულირების მოდული (ლიცენზირება / ნებართვები) წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ნაწილს, რომლის დანიშნულებაცაა მოახდინოს სამედიცინო დაწესებულებების დარეგისტრირება სისტემაში. იგი საშუალებას გვაძლევს შეიქმნას თითოეული დაწესებულების სრულყოფილი ისტორია სამართალმემკვიდრეობის გათვალისწინებით.

სამედიცინო რეგულირების მოდული - ლიცენზირება / ნებართვები განთავსებულია ინტერნეტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის „ელექტრონული ჯანდაცვა“ პორტალზე შემდეგ მისამართზე: <http://ehealth.moh.gov.ge> პორტალს აქვს ყველა გავრცელებული ვებ ბროუზერის მხარდაჭერა და თავსებადია ყველა ოპერაციულ სისტემასთან.


აღნიშნული სისტემის მომხმარებლები არიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო და მომავალში სამედიცინო დაწესებულებები.

1. მომხმარებლის ავტორიზაცია

ლიცენზირება/ნებართვების მოდულში შესასვლელად მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია მისთვის წინასწარ მინიჭებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით (ამ ინფორმაციას მას აწვდის ჯანდაცვის სამინისტროს სისტემის ადმინისტრატორი).

მიუთითეთ მომხმარებლის სახელი, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ (ნახ. 1).


ნახატი 1. მომხმარებლის ავტორიზაციის ფანჯარა



2. ნავიგაციის აღწერა

ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ მომხმარებელი შედის სისტემაში (ნახ. 2).


ნახატი 2



სისტემის მთავარ გვერდზე ნაჩვენებია სამედიცინო დაწესებულებების სრული სია.

ნავიგაციის პანელი შედგება შემდეგი სახის ინფორმაციისაგან: (ნახ. 3).


ნახატი 3



1. ორგანიზაცია/რეესტრი – რომელიც თავის მხრივ შედგება 2 დამატებითი ველისაგან:

- ორგანიზაციის რეესტრი – სისტემაში დარეგისტრირებული ყველა სამედიცინო დაწესებულება
 - განცხადების სია – მაძიებელთა მიერ ელექტრონულად შევსებული და სისტემაზე მიბმული დოკუმენტთა სია.
2. ანგარიშგება – მასში მოცემულია 1 დამატებითი ველი
- ანალიზი – გულისხმობს ელექტრონული ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას.
3. კლასიფიკატორი – შედგება 1 დამატებითი ველისაგან
- რეგულირების სახეები – რეგულირების საერთაშორისო კლასიფიკატორები.
4. დოკუმენტების მენეჯმენტი – გულისხმობს დოკუმენტის შექმნის ფუნქციონალს, ანალიზისთვის საჭირო კრიტერიუმების მატერიალურ დოკუმენტზე მიბმის ფუნქციონალს, სერვისით იდენტიფიცირების ფუნქციონალს და მატერიალური დოკუმენტების არქივის სისტემას.

3. მონაცემთა ბაზა, ფილტრები

მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მონაცემთა ბაზაში მოძებნოს სისტემაში დარეგისტრირებული ყველა სამედიცინო დაწესებულება შემდეგი ღილაკით  (ნახ. 4).


ნახატი 4

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მომხმარებელს შეუძლია მოძებნოს ბაზაში მონაცემი სხვადასხვა ფილტრის გამოყენებით. ფილტრები შეიძლება იყოს შემდეგნაირი :

- რეგულირების სახეები (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- რაიონი/რეგიონი (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- დასახლებული პუნქტი (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- საერთაშორისო კლასიფ. ICHP¹. (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- პროვაიდერის სტატუსი (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- დამფუძნებლის სამართლებრივი ფორმა (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)
- რეგისტრაციის თარიღი
- სამმ.რეგისტრაციის N
- სახელწოდება
- საიდენტიფიკაციო კოდი
- ვალიდური
- გადასამოწმებელი
- შემსრულებლის მიხედვით
- რეაგირების სახე

თუ მომხმარებელმა არ გამოიყენა ფილტრი და ფილტრის გარეშე დააჭირა ლილაკს „ძებნა“, ინტერფეისზე გამოვა სამედიცინო დაწესებულებების სრული მონაცემთა ბაზა.

ასევე ეძლევა შესაძლებლობა ბაზაში არსებული მონაცემები შეინახოს ექსელის ფორმატში

ლილაკით 

¹*(international classification of health providers - სამედიცინო დაწესებულების საერთაშორისო კლასიფიკატორი)

4. ახალი სამედიცინო დაწესებულებების დამატება/რეგისტრაცია

სამედიცინო დაწესებულების რეგისტრაცია ღილაკით  ეკრანზე გამოდის სამედიცინო დაწესებულების რეგისტრაციის ფორმა.

ორგანიზაციის რეგისტრაციის ფორმაზე მოცემულია შემდეგი სახის ველები (ნახ. 5):

ნახატი 5

ორგანიზაცია	
ორგანიზაციის სტატუსი	<input type="text"/>
სამმ.რეგისტრაციის N	<input type="text"/>
საიდენტიფიკაციო კოდი	<input type="text"/>
სახ.რეგისტრაციის N	<input type="text"/>
სახ.რეგისტრაციის თარიღი	<input type="text"/>
სახ.რეგისტრაციის ადგილი	<input type="text"/>
ქართული დასახელება	<input type="text"/>
ლათინური დასახელება	<input type="text"/>
ორგანიზაციის ტიპი	<input type="text"/>
სამართლებრივი ფორმა	<input type="text"/>
საწოლთა ფონდი	<input type="text" value="0"/>
რეესტრის N	<input type="text"/>
ოფისის ტელეფონი	<input type="text"/>
ელ. ფოსტა	<input type="text"/>
E-Health Email	<input type="text"/>

ორგანიზაციის იურიდიული მისამართი	
რეგიონი	<input type="text"/>
მუნიციპალიტეტი	<input type="text"/>
დასახლებული პუნქტი	<input type="text"/>
მისამართი	<input type="text"/>
საფოსტო ინდექსი	<input type="text"/>

ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი	
რეგიონი	<input type="text"/>
მუნიციპალიტეტი	<input type="text"/>
დასახლებული პუნქტი	<input type="text"/>
მისამართი	<input type="text"/>
საფოსტო ინდექსი	<input type="text"/>

- ორგანიზაციის სტატუსი – ივსება ჩამოსაშლელი მენიუს გამოყენებით
- სამმ.რეგისტრაციის N – ორგანიზაციის N
- საიდენტიფიკაციო კოდი² – საიდენტიფიკაციო ნომრის იდენტიფიცირების შემდეგ ავტომატურად ივსება შემდეგი სახის ველები: სახ.რეგისტრაციის N, სახ. რეგისტრაციის თარიღი, ქართული დასახელება, ლათინური დასახელება, ორგანიზაციის ტიპი. ავტომატურად ივსება ორგანიზაციის იურიდიული მისამართის და ორგანიზაციის ფაქტიური მისამართის ველები.
- სამართლებრივი ფორმა (ჩამოსაშლელი მენიუდან არჩევის საშუალებით)

² საიდენტიფიკაციო კოდი – სინქრონიზაციის ღილაკის საშუალებით ხდება მონაცემის იდენტიფიცირება საჯარო რეესტრთან

- საწოლთა ფონდი – რამდენი საწოლი არის ორგანიზაციაში
- რეესტრის ნომერი – რეგულირების სამსახურის რეესტრი ნომერი
- ოფისის ტელეფონი
- ელ ფოსტა
- E-Health Email – ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეილი, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს ყველა დარეგისტრირებულ სამედიცინო დაწესებულებას

ხელმძღვანელის დამატება:

ორგანიზაციის რეგისტრაციის შევსების შემდეგ მომხმარებელს აქვს საშუალება დაამატოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი (ნახ. 6).

ნახატი 6


გადმოიტანეთ ის სვეტ(ებ)ი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება				
თანამდებობა	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	მობილური
მონაცემები არ მოიძებნა				

ლილაკით  ხელმძღვანელის დამატება

ეკრანზე გამოდის შემდეგი სახის ველები (ნახ. 7):

ნახატი 7

ხელმძღვანელის დამატება



თანამდებობა

სხვა



პირადი N

სახელი

გვარი

მობილური

ელ. ფოსტა

 შენახვა  დახურვა

ხელმძღვანელის დამატებისას პირველ რიგში ივსება თანამდებობა. იმ შემთხვევაში თუ ჩამოსაშლელ მენიუში არ მოიძებნა შესაბამისი თანამდებობა, მაშინ მომხმარებელი ირჩევს „სხვა“ თანამდებობას და შემდეგ ველს ავსებს ხელით (ნახ. 8).

ნახატი 8

თანამდებობა	<input type="text"/>
სხვა	დირექტორი
პირადი N	აღმ. დირექტორი
სახელი	გენ. დირექტორი
გვარი	სხვა


პირადი ნომრის შეყვანის შემდეგ, სინქრონიზაციის დილაკზე დაჭერით ხდება პირის იდენტიფიცირება სამოქალაქო რეესტრის მონაცემების მიხედვით და დანარჩენი ველები ივსება ავტომატურად.

ყველა ველის შევსების შემდეგ დილაკით „შენახვა“ მონაცემები ინახება შესაბამის ცხრილში.

რეგულაციის დამატება:

შემდეგ ხდება რეგულაციის დამატება (ნახ. 9).

ნახატი 9

 რეგულაციის დამატება

გადმოიტანეთ ის სვეტ(ებ)ი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება

რეგულაციის სახე/ტიპი	გაცემის თარიღი	რეესტრის ნომერი	მოწმობის ნომერი	გაუქმების თარიღი
მონაცემები არ მოიძებნა				

დილაკით  რეგულაციის დამატება ეკრანზე გამოდის შემდეგი სახის ველები (ნახ. 10):

ნახატი 10

რეგულაციის დამატება

რეგულაციის სახე/ტიპი	<input type="text"/>
გაცემის თარიღი	<input type="text"/>
რეესტრის N	<input type="text"/>
მომხმობის N	<input type="text"/>
გაცემის საფუძველი	<input type="text"/>
ბრძანების ტიპი	<input type="text"/>
გაუქმების საფუძველი	<input type="text"/>
გაუქმების თარიღი	<input type="text"/>
დუბლიკატი	<input type="checkbox"/>
გაცემის საფუძველი	<input type="text"/>
გაცემის თარიღი	<input type="text"/>

შენახვა დახურვა

რეგულაციის სახე/ტიპებში (ამორჩევის პრინციპით) - მომხმარებელი ირჩევს თუ რა ტიპის რეგულაციას ამატებს.

ივსება აგრეთვე გაცემის თარიღი, რეესტრის N და ა.შ.

დუბლიკატის გაცემის შემთხვევაში მიეთითება საფუძველი და დუბლიკატის გაცემის თარიღი

ყველა ველის შევსების შემდეგ ღილაკით „შენახვა“ მონაცემები აისახება შესაბამის ცხრილში. „დამატება“ ღილაკის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, ემატება ერთზე მეტი რეგულაცია შესაბამისი ველებით.

საქმიანობის დამატება:


შემდეგ ხდება საქმიანობის დამატება (ნახ. 11).

ნახატი 11

საქმიანობის დამატება

გადმოიტანეთ ის სვეტ(ებ)ი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება

დასახელება	მინიჭების თარიღი	მოწმობის ნომერი	გაუქმების თარიღი
მონაცემები არ მოიძებნა			

საქმიანობის დამატებისას ღილაკით  ეკრანზე გამოდის შემდეგი სახის ველები (ნახ. 12).

ნახატი 12

საქმიანობის დამატება

რეგულაცია

საქმიანობის სახე/ტიპი

მოწმობის N

სხვა (შეტყობინების შემთხვევაში)

მინიჭების საფუძველი

მინიჭების თარიღი



გაუქმების საფუძველი

გაუქმების თარიღი

დღეობილი

გაცემის საფუძველი

გაცემის თარიღი

ველში „რეგულაცია“ მომხმარებელი ირჩევს უკვე დამატებულ რეგულაციის ტიპს, რის შემდეგაც ირჩევს კონკრეტული რეგულაციის მიხედვით საქმიანობას ჩამონათვლიდან.


ველი „სხვა შეტყობინების შემთხვევაში“ გააქტიურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეგულირების ველში არჩეული იქნება რეგულაცია „შეტყობინება“

ყველა ველის შევსების შემდეგ ღილაკით „შენახვა“ მონაცემები აისახება შესაბამის ცხრილში. „დამატება“ ღილაკის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, ემატება ერთზე მეტი საქმიანობა შესაბამისი ველებით.

ფილიალის დამატება:

ბოლოს მომხმარებელი ამატებს ფილიალს (არსებობის შემთხვევაში) (ნახ. 13).

ნახატი 13

 ფილიალის დამატება

გადმოიტანეთ ის სვეტ(ებ)ი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება

დასახელება	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	დასახლებული პუნქტი	მისამართი	სტატუსი
მონაცემები არ მოიძებნა					

ლილაკით  ფილიალის დამატება ეკრანზე გამოდის ფანჯარა რომელიც მოიცავს შემდეგი სახის ველებს (ნახ. 14).

ნახატი 14

ფილიალის დამატება

სახელი

ფილიალის სტატუსი

რეგისტრაციის N

დაწყების თარიღი

რეგიონი

მუნიციპალიტეტი



დასახლებული პუნქტი

მისამართი

საფოსტო ინდექსი

საქმიანობები


- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია
- სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია
- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია



 შენახვა  დაბრუნება

ველში „სახელი“ მომხმარებელი შეყავს დამატებული ფილიალის სახელწოდება, ირჩევს ამ ფილიალის სტატუსს და რეგისტრაციის ნომერს. ამორჩევის პრინციპით მომხმარებელი ირჩევს რეგიონს, ამ რეგიონის მიხედვით მუნიციპალიტეტს და მუნიციპალიტეტზე დაყრდნობით დასახლებულ პუნქტს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ველში „საქმიანობა“ გამოჩნდება მხოლოდ იმ საქმიანობების ჩამონათვალი რომლებიც დარეგისტრირებული იყო ორგანიზაციის საქმიანობებში. მომხმარებელი ნიშნავს იმ საქმიანობას / საქმიანობებს თუ რომელ საქმიანობას ეწევა კონკრეტული ფილიალი.

ყველა უბნის შევსების შემდეგ, ღილაკით „შენახვა“ მონაცემი ინახება შესაბამის ცხრილში და „დამატება“ ღილაკის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, ემატება ერთზე მეტი ფილიალი შესაბამისი ველებით.





 დარჩეს რეგისტრაციის გვერდზე

თუ მოვნიშნავთ  შენახვა  გასუფთავება „დარჩეს რეგისტრაციის გვერდზე“ და ისე შევინახავთ შევსებულ მონაცემს, მაშინ მონაცემები შეინახება და მომხმარებელი დარჩება რეგისტრაციის გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი ავტომატურად გადავა სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის გვერდზე.

მომხმარებელს აქვს საშუალება შესაბამისი ღილაკების საშუალებით.



ბაზაში დარეგისტრირებული თითოეული მონაცემი:

- ნახოს ღილაკით 
- დაარედაქტიროს ღილაკით 
- ნახოს მისი ისტორია, ღილაკით 
- ნახოს დეტალური ინფორმაცია 
- ნახოს ანგარიშგები ღილაკით 
- და მონაცემი დაბეჭდოს შესაბამისი ღილაკით 